ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. #2

☎ 790 20-33-05
577 47-43-34

საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა #144

29 ივნისი 2012 წ.

ხელშეკრულების პირობების შესრულებისა და განხორციელებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების მიზნით დროებითი კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 მაისის #1000 დადგენილების შესაბამისად

ვბრძანებ:

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყოფილ საკოლმეურნეო და სახელმწიფო ტყეკაფებში გზების შესაყვანად და გასაწმენდათ დადებული შრომითი ხელშეკრულებების შესრულების კონტროლისა და შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების მიზნით შეიქმნას დროებითი კომისია Mშემდეგი შემადგენლობით:

- დიმიტრი კორიფაძე _ მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე - კომისიის თავმჯდომარე;
- ტარიელ ჩხიკვაძე _ ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - წევრი;
- გიორგი სიმონია - მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნციპალური ქონების მართვის სამსახურის სპეციალისტი - წევრი
- პაატა ბერიშვილი - მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი სახელმწიფო შესყიდვების საკითხებში _ წევრი
- ზვიად ჩხიკვაძე - ჩოხატაურის სატყეო უბნის უფროსი - (მოწვევა).
- შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული.

2. კომისიას დაევალოს:

ა) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყოფილ საკოლმეურნეო და სახელმწიფო ტყეკაფებში გზების შესაყვანად და გასაწმენდათ დადებული შრომითი ხელშეკრულებების შესრულების კონტროლი;

ბ) მიღება-ჩაბარების საბოლოო აქტის გაფორმება.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს ჩოხატაურის მაგისტრატ სასამართლოში მისამართზე ჭავჭავაძის ქ. #4;

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ანტონ ხუნდაძე

ვიზირებულია,

იურისტი ედიშერ ჯიბუტი